

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ხელნაწერის უფლებით

**ლიდა ოპოლაკე**

**წინადადების სტრუქტურის კონსტრუქციული  
ანალიზი სამედიცინო-კომპოზიციურ ფორმატა  
თეორიასთან კავშირში**

**10.02.04 - გერმანიკული ენები**  
ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**ავტორეფერატი**

ქუთაისი  
2011

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ხელნაწერის უფლებით

**ლიდა ოპოლაძე**

**წინადადების სტრუქტურის კონსტრუქციული  
ანალიზი სამედიცინო-კომპოზიციურ შორმათა  
თეორიასთან კავშირში**

**10.02.04 - გერმანიკული ენები**  
ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**აგტორეფერატი**

ქუთაისი  
2011

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

**მადონა მეგრელიშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

რეცენზენტები: 1. **გურამ ლებანიძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი 10.02.07

2. **ნინო კირვალიძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი 10.02.04

დისერტაციის დაცვა შედგება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე 2011 წლის 30 ივნისს საათზე. მისამართი: 4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59. კორპუსი 1, აუდიტორია №1114

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში (4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59).

სადისერტაციო საბჭოს

სწავლული მდივანი

ფილოლოგიის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

*ნ. ვახუაძე* ნინო ფხაკაძე

### ნაშრომის ზოგადი დახასიათება

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ენობრივი სისტემის ისეთ ორ ერთეულს შორის ურთიერთმიმართების დადგენას, როგორცაა, ერთის მხრივ, წინადადება, მეორეს მხრივ კი სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა. ამ ორ ერთეულს შორის მიმართება ლინგვოსემიოტიკური თვალსაზრისით დღემდე არ არის შესწავლილი. აქედან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ამ ორ ენობრივ ერთეულს - წინადადებასა და სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შორის მიმართების დადგენა იმ პარადიგმული სიტუაციის საფუძველზე, რომელიც აღინიშნება თანამედროვე ლინგვისტიკაში. ასევე კვლევის მიზანია ისეთი სინტაქსური კონცეფციის აგება, რომლის ფარგლებში სინთეზირებული იქნება წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის არსებული თეორიები. კვლევის ისტორიის ამ ორ სფეროს შორის შეუძლებელია არსებობდეს სიმეტრიული ურთიერთმიმართება: წინადადების კვლევა ხორციელდებოდა უკვე ანტიკურ ხანაში, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის კვლევის პერიოდი კი მიეკუთვნება ლინგვისტიკის უახლეს ეტაპს.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წინადადების თანამედროვე კვლევის იმ ეტაპს, რომლის ფარგლებში წინადადებას - ისევე როგორც სიტყვას - მიენიჭა ნიშნის სტატუსი, მაგრამ ნიშნობრიობის ეს ექსპანსია არ შეჩერებულა წინადადების დონეზე - იგი გავრცელდა ტექსტზეც, და, შესაბამისად, სწორედ ტექსტს მიენიჭა პრიორიტეტულად სრული ნიშნის სტატუსი. სწორედ ლინგვოსემიოტიკის განვითარების ეტაპია ჩვენთვის რელევანტური შემდეგი მოსაზრების გამო: თუ სრულ ნიშნად მიიჩნევა ტექსტი და არა წინადადება, მაშინ თვით წინადადება უნდა იქნეს მიჩნეული ტექსტის ინტეგრანტად. მაგრამ არსებობს ტექსტთა ობიექტური იერარქია (მიკრო-, მაკრო- და მეგატექსტი) და მიკროდონე უნდა იყოს მიჩნეული ტექსტობრიობის იმ დონედ, რომლის გამოც ჩვენი საკვლევი პრობლემისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სამეტყველო-კომპოზიციური თეორიის განვითარებამ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ დასმულა - ყო-